ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 13

2019 წ. „03“ 06

ქ. თბილისი

„შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში. კერძოდ,
   ა) გადაწყვეტილების მეორე პუნქტში ჩაიწეროს: შპს „მახინჯაურის ლიცეუმს“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 153 - ით.
   ბ) გადაწყვეტილების მესამე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	68	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	49	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
3	გემის ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	36	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის № 7 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
დავით მალაზონია

მდივანი
თამილა ჩუბინიძე